# მათრახი

№ 24 — სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

ლიტოგრაფია ს. ჩიხოვისა.


ბიბლიოთეკა

## სპორტი.



პურიშკევიჩი ტრიბუნიდან ჭიქების სროლაში ვარჯიშობს.

# ცილისწამება.

— ხასან!

მკვახეთ დასძახა ბოქაულმა მეორე სართულის ფანჯრიდან, ძირს, დაბალი სახლის კარებზემიმდგარ სტრაჟნიკს.

— რას გვიბრძანებთ, ბატონო!

— გასწი და ამავ წამში მომგვარე ბიბლიოთეკის გამგე ბიჭი. აბა, მალე!

სტრაჟნიკმა თოფი გადაიკიდა, მათრახი წელში გაირჭო და გაფრინდა.

ბოქაული ტყავაძე კი ფანჯარას არ შორდებოდა. წამ და უწუმ შლიდა „ეშმაკის მათრახის" ნომერს, ჩახედავდა, კარგა ხანს ჩასცქეროდა, ბოლოს დაჭკეცავდა, ზედ ხელს დაჰკრავდა და ისევ მოუთმენლად შლიდა და კითხულობდა.

— დამაცადოს ერთი, მე ვასწავლი მაგ წუნკალს თუ როგორ უნდა გაზეთებში ჯღაბნა და ცილისწამება ოოოჰ! მაგათი..

აქ ბოქაულმა, მეტი რომ არა ვსთქვათ, სიბრაზით კბილები დააკრაჭუნა, გაზეთის ფურცლები მძლავრის ხელებით დაჭმუჭნა და სტოლზე დაანარცხა.

— ოოჰ, მაგათი სინსილა, მაგათი სინსილა უნდა მოვსპო! მაშ მე ვარ ხალხის მტერი, მე? მაშ ვინ დააკეთა ამდენი გზები, ეს ბაზრის ქუჩები, ეს ხიდეები და ბოგირები? შენ გააკეთე, შე მჯღაბნელო?

ბოქაულმა ხელ-ახლა გაშალა დაჭმუჭნული გაზეთი, მიაგნო დანიშნულ გვერდსა და მძიმეთ გადაავლო თვალი. მის სახეს, არაყისაგან გაწითლებული ცხვირი მაღალ სამრეკლოსავით დაჰყუდებოდა, ამღვრეული თვალები მოუთმენლობით კრთოდენ, გულიც გამალებით მუშაობდა.

— მოიცა შვილოსა, მოიცა! ვნახოთ რითი იმართლებ თავს! ორი ანბ..

ამ დროს ეზოს კარებში, სტრაჟნიკმა ხასანამ, ახალგაზრდა, ჯერ სრულიად უწვერ-ულვაშო, შავგვრემანი ყმაწვილი შემოიყვანა

— აქ შემოიყვა ჩემს ოთახში!

გადასძახა ბოქაულმა და ოთახში წაღმა-უკუღმა სიარული დაიწყო. ფერ-მიხდილი ყმაწვილი ბოქაულის ოთახში შემოიყვანეს. ის მოკრძალებით გაჩერდა კარებთან და მოწიწებით მიესალმა მათი დაბის „გენერალ-გუბერნატორს". სტრაჟნიკმა გასვლა დააპირა, მაგრამ ბოქაულმა შეაჩერა.

— შენი სახელი?

— თომა, ბატონო!

— გვარი?

— გვარი მეხაძე.

— აჰა, ძალიან კარგი! სად გისწავლია შენ წერა-კითხვა?

— არსად, ბატონო, ჩემით ვისწავლე. დედ-მამა ღარიბი მყავდა, კლასის ფულს ვერ შეუძლებდენ.

— სამაგიეროთ შენ გამოზრდი პროფესორ შვილებს! გესლიანათ იხუმრა ბოქაულმა.—აბა ეს წაიკითხე!

მან გადასცა ჟურნალის გ დაკეცილი ნომერი და თითით ანიშნა ერთ პატარა ლექსზე.

— წაიკითხე ხმა მაღლა და გარკვეულათ: გესმის!

— მესმის, ბატონო.

თომამ ჩაახველა ხმის გასაწმენდათ, ერთი ღრმათ ამოისუნთქა და დაიწყო:

**„დეპეშა დაბა ორჩხუშეთიდან."**

ძმაო ეშმაკ! რომ იცოდე
ჩვენი დაბის შენ ამბავი,
რომ იცნობდე ჩვენს ბოქაულს
(შუბლზე სქელი რო აქვს ტყავი)
მაშინ აღარ დავრჩებოდით
ამდენი ხნის უნახავი.
პირში სული ამოგვხადა
ვინც კი გვნახა აქ აჩავი,
არავინ გვყავს ამ მხეცისგან
დამხსნელი და გამკითხავი. .
მოდი ერთი და გააძვრე
ამ ტყავაძეს ზურგზე ტყავი
მ. ვ."

თომამ ჩაათავა კითხვა და შესდგა. თითქო იგრძნო მოსალოდნელი უბედურებაო, მუხლებმა კანკალი დაუწყეს; სახე გაუფითრდა, თვალებზე ცრემლი მოადგა.

— აბა ახლა გვიბრძანეთ, ბ-ნო მოლექსე ფილოსოფოსო პოეტო, რისთვის დასწერეთ ეს ლექსი?

— რა ლექსი, ბატონო? აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა უდანაშაულო მსხვერპლმა.

— უკაცრავათ! ჩემთან თავის მოკატუნება არ გაგივათ. აბა, სთქვი რა საჭირო იყო ამისი დაწერა, ან რა შენი საქმეა გაზეთში ჩხრეკა და დანოსების გზავნა!

— მე არ დამიწერია, ბატონო! მე სად შემიძლია ასე დაწერა... მე ..

— ხასან!

დაუქნია თვალი ბოქაულმა კარებთან ატუზულ უზარ-მაზარ სტრაჟნიკსა და თომას მოკუზულ ზურგზე საშინლათ გაიტყლაშუნა ხელოვნურათ მოქნეულმა მათრახმა

— კიდევ! კიდევ! მაგრათ! მაგრათ!

კმაყოფილებით გაიძახოდა ბოქაული და სტკბებოდა „კორესპოდენტის" ცრემლებით მანჭვა-გრეხით. სტრაჟნიკს, თითქო ეცოდება საბრალო ყმაწვილიო, ზანტათ აჰქონდა ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გამოტყდები? უმჯობესია სთქვა, უკეთესია გამოტყდე და მოინანიო, ურჩევდა ბოქაული.

— არ ვიცი ბატონო, მე არ დამიწერია. არ ვიცი ..

— არ გამოტყდები? აბა ახლა ერთი-ორი კერპობისათვის მიაყოლე, აბა!

— სტრაჟნიკმა კიდევ ორჯერ გადაჰკრა მათრახი ღონე მიხდილ თომასა და ოფლი მოიწმინდა.

— ეს ჰკუის სასწავლია. ამის შემდეგ აღარ დასწერ, ბოქაული ტყავაძე ხალხსა სცემსო, თორემ ცილისწამებისათვის ამაზე ვარესი დაგემართება.

— მე არ დამ...

— დაჰკარ, ხასან! საზარლათ დაიყვირა ბოქაულმა და შეშინებულმა სტრაჟნიკმა საშინელის ღონით გადაჰკრა მაგარი ტყავის მათრახი.

თომა დაბარბაცდა და ღონე მიხდილი იატაკზე გაიშხლართა.

— ეგრე იცის ბოქაულზე სიცრუის წერამ, ცილისწამების გავრცელებამ. ახლაც დასწერ, ბოქაული ხალხს აწუხებსო, ხალხს ავიწროებსო!, ხალხსა სცემსო! გაათრიე.

სტრაჟნიკმა ბავშვი წამოაყენა, დერეფანში გამოიყვანა და გრძელს სკამეიკაზე დასვა.

პატარა ხნის შემდეგ თომამ თვალები გაახილა, მიიხედ-მოიხედა, გაიხსენა ორი-სამი წუთის წინანდელი ამბავი, ტანში ჟრუანტელმა დაუარა და ძლივს წაილუღლუღა:

— რისთვის! რა დამიშავებია... ოჰ, ნეტავი მართლა შემეძლოს წერა...

ადგა და არეულის ნაბიჯით გაემართა ეზოსკენ.

— ეს ერთი მიპატიებია, რაკი შენ არა ყოფილხარ დამწერი!

გადმოსძახა ბოქაულმა და ფანჯარა მოხურა.

**ეშმაკი.**

—

ძვირფასო კორესპოდენტებო!

აი, ასე ძნელია გაზეთის თანამშრომლობა. ყველა თომასავით ბედნიერი არ გამოვა და ბოქაული არ აპატიებს დანაშაულს, თუმცა საბრალომ არც კი იცოდა, ვისი დაწერილი იყო ის პატარა „ცილისწამება“ ბოქაულ ტყავაძეზე.

მაშ გაუფრთხილდით თავს, ერიდეთ ,,ცილისწამებას“!



* * *

ნუ, ნუ იფიქრებ, რომ მძულდე, მძაგდე,
აღარ მიყვარდე და მხოლოდ გმტრობდე!..
ახ, რო იცოდე! ვფიცავ ხშირათ მსურს
ფეხთ ჩაგივარდე და შენს წინ ვთრთოდე...
მსურს გულში ჩაგწვდე, დარდი მოგპარო,
გაგისხივოსნო შუბლი იმედით,
შენთან ვილხინო, გამხიარულო,
შორს აგაფრინო ოცნების ფრთებით.
თუ დღეს ხანდიხან შხამით გიგონებ
და სიტყვა გესმის დამცინავ-მწარე,
ვფიცავ მეუფეს—წმიდა გულია...
თორემ ვით დაგგმო სულის გამხარე?
და ვერც მოვიშლი ამაებს, ვერა,
ვიდრე ზე აღმდგარს აღარ გიხილავ,
ალამს სიმართლის, სიყვარულისას
შენს მიერ გაშლილს აღარ ვიხილავ...
თუ ვერ ვეღირსე, ვაჰმე, ბედშავი,
ამ ბედნიერ წუთს შენს სიცოცხლეში,
ისე მოვჰკვდი, ვეღარ ვიხილე
წმიდა ემბლემა შენს ფერმკრთალ ხელში,—
საფლავს გავიხდი შენსას სალოცათ:
იქ გავითენებ, იქ დავიღამებ,
წმიდა იმედით, მხურვალე ლოცვით
დარდს გავიქარვებ, გულს დავიამებ.
რწმენად გავიხდი, რომ შენი ნაშთი
აღმართავს მედგრათ იმა ალამსა
და შენს საფლავზე ტურფად გაგვიშლის,
ტანჯულ-დევნილთა ამ ტკბილ სალამსა...
თუ მაშინც ბედმა მიმტყუნა, დამგმო,
სამსალა, შხამი გულს ჩამიქცია,—
ბედნიერების კოშკი მტარვალმა
შეუბრალებლათ კვლავ დამიქცია,—
მაშინ თვით ჩემს გულს გავშლი იმ დროშათ,
დიდების ძეგლათ თავს დაგადგები...
შენც იქ იქნები, გვერდს დამიმშვენებ...
საფლავს გაარღვევ, მკვდრეთით აღდგები...

—

ნუ, ნუ იფიქრებ, რომ მძულდე, მძაგდე!
ისევ ჩემთან ხარ, ისევ მახარებ...
შენს წმიდა სახეს კდემით შემოსილს,
ვით მცველ ავგაროზს გულით ვატარებ...

**ვ. მალაქიაშვილი.**





ამ სურათის ახსნა იხილე მე-14 გვერდზე.

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

**სამტრედია.** მამასახლისის არჩევნებია. გვესტუმრა მაზრის უფროსი. ხალხი ღელავს. ყველას მამასახლისობა უნდა. კენჭი იყარეს: ყოფილმა ვაჭარმა, დღეს გაკოტრებულმა იოსებმა და ყოფილმა მამასახლისმა, დღეს გავაჭრებულმა სპირიდონ ახობაძემ.

გამარჯვება უკანასკნელს დარჩა.

**იქიდანვე**. ადგილობრივმა ,,დესიატნიკებმა‘‘ დაადგინეს: სალამოს ექვსი საათიდან სამიკიტნოში აღარ შევიდენ. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, მას ორი ჩაფი ღვინით დააჯარიმებენ.

**იქიდანვე**. ფოსტის უფროსის მოადგილეს საშინელი სიზმარი ეჩვენა: ,,თითქო ფოსტ. განყოფილებას ძარცვავდენ!‘‘ ასტყდა აურ ზაური მოხდ სამხედრო გამოძიება და გამოირკვა, რომ ფოსტას არაფერი საფრთხე არ მოსვლია, ხოლო სიზმრის ავტორის საქმე ცოტა ვაგლახათ ყოფილა.

**ბორჯომი.** როგორც გავიგეთ, ადგილობრივ მცხოვრებლებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ ისიდორე სიხარულიძე ისევ უკან დააბრუნონ, რადგან სამტრედიელებს უიმისოთაც ბლომათ ყავთ მემუშტ-კრივენიო.

(პოტის სააგენტო)

**დიდი-ჯიხაიში.** 30 მაისის ყრილობაზე ბოქაულის მიერ წამოყენებული საკითხი ,,პრისტავის‘‘ დაქირავების შესახებ ,,ჩაფლავდა‘‘. ამ გარემოებამ მეტათ ატკინა გული სტატსკი სოვეტნიკ ქ. ლორთქიფანიძეს, გ. სანაძეს და ადგილობრივი ზუბრიკელების ხროვას. მათ, კარგა ხნის თათბირის შემდეგ, გადაწყვიტეს აწ აღარ გაერიონ უმადური გლეხების საქმეში. დაიღუპა საზოგადოება!

**იქიდანვე**. ქსენონის ახალმა კომიტეტმა გადაწყვიტა: მოახდინოს დეზორგანიზაცია (რეორგანიზაცია არ გეგონოთ) ქსენონის მართვა-გამგეობის საქმეში. ამიტომ ჯერ მხოლოდ 107 სხდომა ჰქონდა; გაარჩია $2^1/_2$ კითხვა, გასარჩევია 205, თუ მოულოდნელმა გარემოებამ მოსალოდნელ არ ჰყო კითხვათა რიცხვის გაორკეცება.

**იქიდანვე**. როგორც ამბობენ, თავად-აზნაური მოინტელიგენტო ბარიშნების მიერ, იგზავნება პეტიცია: არ მოიხსნას ეხლანდელი მთავრობის მამასახლისი, თორემ თვითმკვლელობა აქაც გახშირდებაო.



# მთის გადაღმისაკენ

(ფანტაზია სურათებათ)

(გაგრძელება)

. .ცელი გადასდო... ხმალი აელვა...
მომხვდურს არ გასცა მან სხვა პასუხი.
ცამდის უწევდა ბრძოლის ყიჟინა,
ორსავ მკერდთაგან ამონაქუხი!..
  ყვავ ყორანთ გუნდნი შემოკრბენ ირგვლივ,
ბრძოლის ველისკენ თვალნი რჩებოდათ:
კარგათ იცოდენ, რომ, ბრძოლის შემდეგ,
საკენკათ ლეში დაურჩებოდათ.
  შავ შავ ნისკარტებს წაილესავდენ
და სანადიმოთ განამზადები,
შავს წრეს თანდათან ავიწროებდენ
ეგ საზიზღარნი, არამზადები!..
  სისხლმა იფეთქა და ძირს დაეცა,
ბაყათარ, შუა თავ-გაჩეხილი;
მის სასიკვდილო ამოგმინებას
შორს იტაცებდა ტყე, ატეხილი!
  გათავდა ბრძოლა... მაგრამ ყიჟინა
კი არ მოისმის გამარჯვებულის.
იქნება, მგზავრსაც იქ ჩაეძინა
ძილით, მტრის ხმალზე წამოგებულის?
  არა!.. გადურჩა ის აქაც სიკვდილს,
არ მიუღია მძიმე ჭრილობა,
მხოლოდ ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლით
იგრძნო მოწყვეტა და მოღლილობა.
  აღარ შეეძლო მას, რომ დაეცა
საგამარჯვებო მძლავრი ყიჟინა:
მუხლნი მოეჭრენ, მკლავნი მოდუნდენ,
დაეცა იქვე და... ჩაეძინა...
  ყვავ-ყორანთ გუნდი ნადიმს შეუდგა:
მძინარის ახლოს სუფრა გაშალა,
და თავის საზრდოთ, სხვისი ამაგი
შავის ნისკარტით ჩამოითალა...

—

1 **არწივი**. სძინავს ..
2 **არწივი** რა გიჟი ვინმე ყოფილა!..
  ეტყობა, ჭაბუკს, მკლავებში ღონე:
  მაგისი ბრძოლა, ტევა, ყიჟინა,
  ხომ დაინახე? ხომ გაიგონე?!.
1 **არწ.** დიდი ხანია კვალ და კვალ მოვსდევ,
  უკვე გავეცან მაგის შეძლებას,
  როს შეუდარო სიმედგრით შეხვდა
  მასზედა მოსეულ მთის ფოცხვერთ კრებას.
2 **არწ.** შენ იქ დაესწარ? და ამბობ, შენზე
  მან მოახდინა შთაბეჭდილება?
  მითხარ, თუ იცი, სად მიუღია
  ბრძოლის ასეთი გამოცდილება?!
    ნუ თუ არ გიკვირს, ადამიანში
  საიდან გაჩნდა ასეთი ძალა,

როს თვით სატანამ მათი ცხოვრების
ჩარხი უკულმა შეატრიალა?
ნუ თუ არ იცი შენ ეს ამბავი?!.

1 **აჩრდ.** სწორედ ეგ არის იმის შედეგი,
რომ, აგერ, ერთი კიდეც გამხდარა
თვით იმ ცხოვრების წინაალმდეგი!
დღეს გზას მიიკვლევს ,,მზის სამეფოსკენ''!..

2. **აჩრდ.** მზის სამეფოსკენ! ასე სთქვი შენა?!
მერე კაცთა ძის გაყინულს გულში
ვინ ჩაანერგა ასეთი რწმენა?

1. **აჩრდ.** ზედმეტი ყინვა სითბოთ გადექცა,
ალუგზნო გული ცეცხლით ციურით
და ასე გახდა უკმაყოფილო
მწარე ცხოვრებით ამ ქვეყნიურით.
ის მიდის ეხლა აღთქმულ ქვეყნისკენ,
ურყეველი აქვს სურვილ-მიზანი,
ვერ აჩერებენ მას იმ ქვეყნისკენ
ნარ-ეკლიანნი, უვალნი გზანი!..

2· **აჩრდ.** მუდმივი ბრძოლა მოიდნობს მასა...

1. **მგზ.** (ძილში) მთას გადავლახავ, ჯაგარ აყრილსა!..

1. **აჩრდ.** გესმის? სიზმარშიც მასზე ოცნებობს,
წმინდა განზრახვა მას უფრთხობს ძილსა!..

1. **მგზავრი.** მზის სამეფოსკენ გადავეშვები!..

1. **აჩრდ.** ყური დაუგდე მის ალსარებას! .
ჩუ! ეს ჩოჩქოლი ნეტა რა არის?
რაღა მოსვლია ყვავ ყორანთ კრებას?!

2. **აჩრდ.** იქ ნასუფრალზე ადავებულან,
ველარ გამძლარან ეს პირშავები
და წაიჩხუბენ: ერთი მეორეს
სულ ააცილეს ბურტყლი, ტყავები...
ნაწილიც აქეთ მოეშურება...
მგზავრო! წამოდექ, გეყოფა ძილი...
ყორნები მოვლენ, ,,ყორნები,'' შენსკენ
ნუ თუ არ გესმის მათი ჩხავილი?
აი მძინარის მკერდს მიესიენ...
ხომ დაიღუპა, ეგ საცოდავი!
ჰაუ, ტიალნო!..

1. **აჩრდ.** არა... გადარჩა! .
ხედავ, მძინარემ ასწია თავი!..

—

...ხმალმა იელვა, შავმა ლაშქარმა
სასო წარკვეთით იწყო ყიალი
და მთის ოთხივე მხარეს აწყდება
ანაზდეული... განატიალი...

—

1 **აჩრდ.** მგონი გულ-მკერდი დაუზიანეს!..

2 **აჩრდ.** კიდევ კარგი, რომ სულ არ დაჰფლითეს.
უტიფრებს როგორ მიუხარიათ!
შორს, იქით, კიდეც გადიხითხითეს...

1 **აჩრდ.** იცი, სიცილი მათი რას ნიშნავს?

2 **აჩრდ.** ცუდს მოასწავებს რასმე მოსავალს?

1 **აჩრდ.** დიახ, მწარე ხვედრს უქადის იგი
ამ მთის ბილიკზე გაბედულ მაღალს!..
მგზავრო! გირჩევ, რომ უკან გაბრუნდე,
გიჟურ განზრახვას აალო ხელი,
ტყვილათ ოცნებობ, მთას გადაივლი
მხარე დაგხვდება იქ, სანატრელი!!..
ის კი არ იცი, რომ მთის გადაღმა
ისევ მთებია ნარ-ეკლიანი,
და იგი მხარე... მხარე, აღთქმული,
„მზისა სამეფო“ ღვთივ მადლიანი...
იგი შორს არის. . ძალიან შორსა!..
იქამდე ფეხი ვის მიგიწვდება!
და მგზავრი, შენებრ თავგანწირული,
მიათა წიალში სადმე ჩაჰკვდება.
იქ უპატრონოს, დაუტირებელს.
საფლავს გაუთხრის მთისა ნადირი..
მოწმათ ამ ამბავს მთა დაესწრება
და ცა, ცივ კურცხალ ჩამონატირი ..

**მგზავრი.** გინდა, სიკვდილით, რომ შემაშინო?
განა სიკვდილი იქ კი არ არი?
მიწა ყოველგან მიმიწვენს მკერდზე,
ამ მხრით ერთია მთა, გინდა ბარი! .

1 **აჩრდ.** მაგრამ იქ, ბარში, ადამიანნი
სათანაგრძნობო ცრემლს დაგაფრქვევენ;
შენს ნეშტს გაჰბანენ, დაასწორებენ,
სპეტაკსა ტილოს შემოახვევენ;
ათის ფიცრისგან კუბოს შეჰკერვენ,
ზედაც სუდარას წაგაფარებენ:
„წმინდაო; ღმერთო!.. განუსვენეო“...
და მიწას ასე მიგაბარებენ!..

**მგზ.** ჰმ! თანაგრძნობა!.. „ფრთხილი მოპყრობა“!..
გამომიცდია ყველა ესენი...
მიტომ ნუ მირჩევ იქ დაბრუნებას,
გზა დამილოცე!.. ჩამომეხსენი...
იქ, სადაც ყველა „ძმობას“ უგალობს,
ძმა კი, ძმასავე უთხრის სამარეს,
შეჰღაღადებენ „ერთობას“ სიტყვით,
საქმით კი— ძირი გამოუთხარეს,
,,სიყვარულს' ბალღიც კი ლექსებს უთხზავს,
მას უფაქიზეს გრძნობათ სახავენ,
მაგრამ თითონ ღმერთს სიყვარულისას
მასხრათ იგ ̈ებენ, ლაფში მარხავენ,—
იქ ცრემლი ვძებნო სათანაგრძნობო?
იქ ფრთხილ მოპყრობის მქონდეს იმედი?
არა, შენ ერთობ გულუბრყვილო ხარ,
ანუ მაცდური, ან ვინმე ყბედი!..
მე იმ ცხოვრებას უარ ყოფითსა
კაი ხანია ზურგი ვუჩვენე
და აწ შენ მირჩევ დავუბრუნდე მას,
რაც ერთხელ დავგმე და შევაჩვენე?!
მე ბილიკს გავსწმენდ, სანამდის ძალმიძს!..
ჯ ,, მზის ქვეყნამდის ნუ მივატარებ!..
მხოლოთ ვიცი, რომ ეს სწორი გზაა
და ამით ვცოცხლობ, ამით ვნეტარებ!..

ჩემი ძალღონე, ჩემი შეძლება
ამ გზის კაფვაში დე, დაიხარჯოს,
რომ შემდეგ მაინც მაზედ მავალი
ჩემებრი მგზავრი არ დაიტანჯოს.
ბედი თუ მაინც სასჯელს მიქადის
და წინა მიდებს სასჯელს ორგვარსა:
ერთით-ვერავის ვერას ვშველიდე,
მეორით—ვსპობდე სხვის სატკივარსა,—
მე არ მგონია, ვინმემ ირჩიოს,
რომ თავი მისცეს უმიზნო ვნებას,
არამედ ტანჯვით თვისით ეცდება,
ხიდათ გაედოს მომავალ წყებას!
ასეთი არის ეგ ჩემი ხვედრიც!
მეც ამ ჩემს ნაპირს მხნედ წინ გავიტან
და მომავალ მგზავრთ ტანჯვათა ნაწილს
მოვსპობ, საფლავში თანვე ჩავიტან...
ეხლა მშვიდობით!.. მე მთას გადვივლი,
„მზის სამეფოსკენ“ გადავეშვები...
რაც უნდა ძვირათ დამიჯდეს, მაინც
არჩეულს მიზანს არ მოვეშვები!.. (მიდის წინ)

**ნ. ზომლეთელი.**

(დასასრული იქნებ.)




# წკიპურტ-ლექციები

(სუნაკისათვის)

III

ვაჟბატონებო და ქალბატონებო! ჩემი მეორე ლექცია დავასრულე დაპირებით:—,,მეორე მოკახსენებთ, თუ რამდენათ მომზადებული ვართ მოქალაქობრივი ცხოვრებისათვისთქო.‘‘ ,,ეშმაკმა‘‘ ეჭვი აიღო ამ დაპირების ასრულებაში და ჩემს ლექციას ასეთი კუდი გამოაბა: ,,ალბათ შენც მაშინ მოგვახსენებ, როცა ექიმი სობოლევსკი დაასრულებს თავის გამოკვლევის მეორე ნაწილსო!‘‘ ,,ეშმაკი‘‘ აბა რის ეშმაკი იქნებოდა, რომ თავისებურათ არ გავეკაწრე; მარა, იცოცხლეთ! ისიც მოტყუვდა ანგარიშში; რადგან ჩვენ არც ისე უანგარიშონი ვართ, რომ ქვედა სართულში მიწერილ შენიშვნების კითხვაში დრო დავკარგოთ. ჩვენ ხომ ლოკკის და შოპენჰაუერის მიმდევრები ვართ ამ შემთხვევაში! და აი რას ამბობს პირველი მათგანი: ,,ჩვენ მცოხნელთა მოდგმისანი ვართ, წიგნების გროვით მხოლოდ ამოროხვა არ ვარგა, მათი კითხვა ძალას არ შეგვძენს, თუ ყველაფერი კარგათ არ გადვცოხნეთო.‘‘ შოპენჰაუერი, კი ამბობ: ,,კითხვა მაშინაა საჭირო, როცა საკუთარი აზროვნების წყარო ამოშრება, ხოლო კითხვის გულისთვის რომ საკუთარი აზრი დააფრთხო ეს დანაშაულობაა.‘‘ ასე ამბობენ მეცნიერნი, ხოლო რადგან ჩვენ წიგნებს გარდა სხვაც ბევრი რამ გვაქვს საცოხნელი და ღვთით საკუთარი აზროვნების სავარჯიშოთ ვინტ-პროფერანს—ფრაპ-ბაქარა საკმაო მასალას გვაძლევს, ამისათვის არამც თუ შენიშვნებიl კითხვით, თვით დიდ მნიშვნელოვან წერილების კითხვათაც თავს არ ვიცხელებთ თუ არა გჯერათ, აი მიბრძანდით ჩვენს სამკითხველოში და აბა თუ ნახავთ ჩვენს გვარებს მკითხველთა დღიურში!—მაგრამ უკაცრავათ! კიდევ გადავცდი საგანს.

დღეს მე ჩვენს მოქალაქეობრიობაზე უნდა მოგახსენებია. დიახ, ბატონებო! ,,მოქალაქობრივობა‘‘ ისეთი ფართე შემეცნების გამომხატველი სიტყვაა, რომ მისი შინაარსი ყველას თავისებურათ ესმის, მარა მრუდთან და მართალთან ჩვენისთანა მოქალაქობრივი ქცევა მთელ დუნიაზე არავის ეხერხება: ,,**ფიქრის, საქმის, შრომის დროსა**‘‘ რა მოგახსენოთ, თორემ „**ლხინში მოლხენა და ჭირში შველა** ხომ ჩვენი საქმეა. თუ არა გჯერათ, აი დაესწარით ჩვენებურ ქორწილს, ან ტირილს და თქვენი ლამაზი თვალებით ნახავთ, როგორ ავავსებთ ას არშინიან ,,შეფას.‘‘ ხშირათ, არც კი ვიცით ხოლმე ვის ქორწილში, ან ტირილში ვართ, მარა ჩვენ ჩვენს ,,მოქალაქეობრივ‘‘ მოვალეობას მაინც პირნათლათ ვასრულებთ. ზურგს უკან, რასაკვირველია, ყველას ჩვენ ჩვენი განსაკუთრებული აზრი გვაქვს ერთმანერთის შესახებ, ხოლო როცა ერთათ შევიკრიბებით, პირთაგან თაფლი და თვალთაგან სასოების ნაკადი გვსდის ურთიერთის შესხმა ქებაში. ასე გასინჯეთ, ჯერ არც ერთი, ,,სტარში პისმოვოდიტელის‘‘ ,,მლადში დელოპროიზვოდიტელი‘‘ არ გაგვისტუმრებია აქედან ისე, რომ ვახშამი არ გაგვემართოს და ,,რეჩებით‘‘ არ შევგვემკოს. ამასთანავე ჩვენ იმდენათ თავაზიანი ვართ, რომ მაშინაც კი ,,ოჩინ პრიატნოს‘‘ ვიძახით, როდესაც მიმავალი გვეუბნება: ,,მადლობა ღმერთს, თქვენ რომ მოგშორდითო‘‘. ამ მოქალაქობრივი ცხოვრების ერთი საზომთაგანი ხომ მოქალაქეთა აზრთა შეხლა-შეჯახებაცაა და თუ ჩვენ შეხლა-შეჯახება გვაკლია, აბა მობრძანდით მატარებლის მოსვლის დროს რკინის გზის სადგურზე და თქვენივე საკუთარი გვერდები დაგარწმუნებენ ამაში. თუ ამ დროს ვერ მოიცლით, რა დროსაც გინდათ, შემოიარეთ ჩვენს ეგრეთ წოდებულ ,,ბულვარდში‘‘ (იქ შესვლას არავინ დაგიშლის, რადგან დაბის მამათა მიერ არჩეულმა მოიჯარადრემ იმდენათ გაადემოკრატა ამ ხუთ ექვს წელიწადში ეს საზო-

გადო ადგილი, რომ იქ ადამიანები კი არა, ღორე-ბიც თავისუფლათ დასეირნობენ). დიახ, შემოიარეთ რა დროსაც გინდათ ამ ბაღში და აქ ყავახანის ირ-გვლივ მრავალ ადგილს მოისმენთ ჩვენი „ლაზათია-ნი" სიტყვების შეხლა შეჯახებას და კამათლების ჭახა-ჭუხს. მართალია, ვილაცებს უთქვამთ, ბაღში ამგვა-რი დაწესებულება და ნარდ დომინოს მოთამაშეთა „ლაზათიანი" სიტყვები უადგილოა, რადგან სა-ზოგადოებას ბაღით სარგებლობის უფლებას უკარ-გავსო, მარა საზოგადოება ხომ ჩვენ თვით ვართ და აბა ვის უნდა მოვერიდოთ?! არ იფიქროთ, ბატო-ნებო, რომ მარტო ამ საზოგადო ადგილებით ისა-ზღვრებოდეს ჩვენი შეხლა-შეჯახების ასპარეზი! დუ ქან რესტორანებზე, რომ არაფერი ვთქვათ, რამდე-ნიმე კერძო ოჯახიც კი გვაქვს იმისთანა, სადაც უფრო მედგარი შეხლა-შეჯახება ხდება პრაქტიკუ-ლათ. ხოლო თუ ჩვენი ტეორეტიული კამათის მო-სმენა გსურს, გამობრძანდით საღამოს ხარბედიას წყლის ქარხნის წინ და იქ ბევრ მჭერ-მეტყველ ორა-ტორის გატაცებულ სიტყვას მოისმენთ, რომლებიც დაგიმტკიცებენ, რომ „при восьми безъ двухъ" დარჩენ პროფერანსში. დიდი დანაშაული არ არის თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ნაშუაღამევის ორ-სამ საეთზე მოთამაშეს თვალი აუჭრელდება და „ტრეფის ვალეტი" პიკის კოროლათ ეჩვენება.

როგორც გამჩნევთ, ბატონებო! „ტრეფი"სა და „პიკის" ხსენებამ თქვენ სათამაშოთ საღერღე-ლი აგიშალათ და რომ ჩემი ლექციით ძვირფასი დრო არ დაგაკარგვინოთ აქ ვსვამ წერტილს და ლექციას შემდეგისათვის განვაგრძობ.

ფარდა.

## ჭ ი ა თ უ რ ა.

— ზდანოვიჩის გამარჯვების მეჯლისი მეორეთ აქ გადიხადეს. მსხვერპლათ ჯერჯერობით ექიმ ჯა-ფარაძის ყბეპი და მკლავი მიირთვა.

— ადგილობრივმა კოოპერატიულმა დუქანმა ლამის არის გააქროს წვრილი მოვაჭრენი ულმობე-ლის კონკურენციის მოვლინებით. ძალიან ემადლი-ერებიან გამგეებს.

— სახალხო უნივერსიტეტს სძინავს, სასთუმ-ლათ წ.-კ. განყოფილება უდევს.

კვახურეც.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(შევარდენის სააგენტოდან.)

**ბათუმი.** „ბათუმსკია იზვესტია"-ს რედაქტორი მეორჯერ დააჯარიმეს; ამ ხელათ 500 მანეთით. ქანქრის უქონლობის გამო, სამი თვით დააპატიმ-რეს: თვეში უწევს 166 მ. $66^2/_3$ კაპ. ბოროტი ენე-ბი ამბობენ, ასეთი დიდი ჯამაგირი ერთ-ერთ ბათუ-მელ დურმიშხანის რეკომენდაციით დაენიშნაო.

**იქიდანვე.** დარჩა კიდევ ორი უკანასკნელი ქუჩა „უილლიუზიონოთ" რაითაც ამ ქუჩებზე ღა-ე მოსიარულენი შეწუხებულნი არიან უსინათლო-ბის გამო.



## მესტვირული.

(ბათუმისათვის.)

დიდი ხანია, ბათუმზე
აღარ გვსმენია სტვირია,
მაგრამ სიმუნჯე ასეთი
არც არის გასაკვირია,
რამეთუ დალილინებას
ცოტა ხალისიც სჭირია,
რაც, უკუღმართსა ამ დროში,
შეიქნა ერთობ ძვირია.
ხალხსა კუჭს უწვავს შიმშილი,
დაგრძელებია ცხვირია,
ჩემს ლილინს ვინღა უყურებს,
ან გუდა ვიღას სჭირია?
მარა მე მაინც დავუკრავ,
მინდა დავძლიო ჭირია,
მოვინახულოთ უთუოდ
ბათუმის განაპირია,
ამითი კარგს არ მოველი
საქმეა გასაჭირია,
ვიცი ჩემს გუდას დამიხევს
იქ რომელიმე „გმირია"
მაგრამ არ უფრთხი დე ვიყო
ბედისგან განაწირია.
სიცოცხლე სიმართლისათვის
ზვარაკად შემიწირია.

მაშ ახლა, ჩემო ქამანჩავ,
ნულარ ვაგრძელებთ ბევრსაო,
შევამკოთ გმირი მსუნაგი,
სინდის რომ უდგას შორსაო,
ურცხვად რომ ზიდავს სოროში
მოგონილ ამბებ-ჭორსაო,
ვუთხრათ მას, მელა-კუდასა,
აზეფის თანასწორსაო,
უკვე მიგიხვდით, ბიძიავ,
შენ დურმიშხანულ ხერხსაო,
გამოგიმჟღავნდა ტიტინი,
ჩუმ-ჩუმათ ძრომა ხვრელსაო,
სუნი სდის შენსა დუქანსა,
სინდისის გამყვიდელსაო,
ბეჭედი გამცემელისა
ზედ აკრავს იმის ბჭესაო,
ვინძლო გაჯავრდეს ბატონი,
როცა მოესმას ესაო,
დორბლი მოადგეს პირზედა
უმგზავსეობის მთესსაო,
მოგვთხოვოს კიდეც ფაქტები,
ფაქტიც არ არის შორსაო:
ახალ რედაქტორს უჩვენებთ
ციხეში რომ ზის დღესაო,
(,,დაჩაში‘‘ წასვლის მაგიერ
იგი იქ ჰკარგავს ფერსაო)
ეს ვინ ჰქნა თუ არ მელიამ
უმტერა მოკეთესაო,
თავისი პირით უამბო
ეს ძვირფას მეგობრებსაო..
რას იზამთ, დროა ასეთი,
დრო სწყალობს უტიფრებსაო,
თუ შეუტიე ბოროტსა,
ამოგიჩეჩქვენ ყბებსაო,
არა და ჩუმად გახრჩობენ. .
ვაი ამ შავ-ბნელი დღისაო!..

—

ახლა-კი ჩემო ქამანჩავ,
ვიკმაროთ ესე თქმულია,
სხვა სამერმისოდ გადავდვათ
რაცა გვაქვს შენახულია.
რასაცა ვიტყვით ჩვენია,
რაც არა—დაკარგულია!..

**ირაკლი.**



# წერილი მარიამისგან

**აბრეშუმის თესლის გამყიდველ კაკაშაძეს.**

შენი კუჭით კეკალ გულზე გამსკდარი ამ წერილს გიგზავნი და ბუნებას ვსთხოვ წაკითხვას [რომ მიადგები, გადაქცეულიყოს იაპონიის ყუმბარათ, ფრეწა მოედინოს და შენდა ფეხები გიეფანჩხალებიოს.

არა, შენ გასაფშიკებელო, რაფერ გაგვილიტინე ამდენ-ქალებს ლინწკულაი დანა კისერში? მიადექით შენ და სიმონმა, გამეიწვით აი გველის მისაწიპწიპებელი ენა, გაგვიპრელეთ და გაგვიპრელეთ, აი ჯვარია აქაურობას, პაკრამაციის სიგძე რეკლამები: აგიოდა ყველაყაისას ჩემი თესლი ჯობიაო... რაცხამ ჩვენც ისე გაგვაყურყუჩა, რომ ვერ ვიფიქრეთ: ხონელი ხონურს გვიზამდი! მოგასკტით ქვეყანამ, ყოლიფერი დროზე გევიგიქენით, ფულები ერთი ორათ გადაგვაკარპლიეთ, ბოლოს ჩაგვყარეთ წყალში და ახლა შენი ღარღილი აღარ იყურება აქეთ. მე შენ გეტყვი რამე მივაკელით! ღანკი აღარ გვაქ ბეოლის წინწიბერაში ნაღლიტინევი, ამდენიხანია საცოდვავი ყაძახიზა გუულიგვებელი ხეფსი არ მიღირსებია, ბაღნებიზა კანჭი არ დამიბანია. ჩემს პირს ფერუმარილ,—გუნდა ლახოსტაკი კიარა, გადასაფერავი პიშუშტაკი არ წაკარებია. ვფიქრობდი: ცოლი, ქმარი, დიდი, პაწაი, ჩევიპეპლებ ჩევიხალიათებთ მეთქი. ხაზინას, მღვდელს, მოყვარესა და მტერს ჩამოურიგებ ჩამოუწინწილებ მეთქი. ფუტება არ მიმიკლია და ამაღლების თოთოი ხაჭაპურებით ლოცვა, მარა იმას მაინც აფერი წაადგა, იმის მეტი არ წაგადგენ ჩემს მომტყუებლებს, მექშედა ნაკაშიძის ქადაგება და ნიგოითელ-შეგრილ ხუცის წირვა-ლოცვა. მერედა კიდო რადროზე დამშვენდა! ცახი რომ მოუჯანდრე, პირსაცავი რომ მუუკრიჭინე, ახლაა რომ გამაკეთებს მეთქი, ვფიქრობდი მე უბედური. ეიჩოჩა, მეიჩოჩა, დატორიკდა, გეიწვართა და ბერტყა მოადინა ძირს. ჰოდა ამისანაი საჯაყი საქმე წაგვკიდე, იარა თუ აი ხატები ნატეხარაი არაა არ მოკიშლით კბილის კრაჭუნს და ხელის ტაშუნს.

გწერს წროულს მოტყუვებული, მარიამ ხარალაძისა.

**შხანკოლა.**

---

**დამჭკნარ ყვავილს.**

სახსოვარი.

ზეცას ცვარ-ნამსა შესთხოვდი,
მზეს სხივებს ევედრებოდი...
აღარ გისმინა არც ერთმა,
არ მოგცეს რასაც შესთხოვდი!
ზეცამ ცვარ ნამის მაგივრათ
ნაღველი ჩამოგანთხია,
მზის ვეღარ მოგწვდა სხივები
ღრუბელი ვეღარ გახია.
ვეღარ გასძელი უსხივოთ,
უნამოთ ვერ გაიხარე
და შავ სიკვდილის წინაშე
ტანჯული თავი დახარე.
დასჭკნი... გაზაფხულს კოკორი
ვერ მიაგებე გაშლილი!..
გულს მიკლავს ნორჩი სიცოცხლე,
ასე უდროოთ წაშლილი!..

**ანათემა.**

# ძალათ მამობა

იმაზე მეტი საცინლათ გდება
არ ვფიქრობ თუ-ლა კიდევ იქნება,
როს ვიგინდარა და მაჩანჩალა,
შემოგადგება სულ ძალ და ძალა...
და რიხით ბრძანებს: „მამა ვარ თქვენი;
მაქეთ, მადიდეთ, მომართვით ძღვენი!!."
—ვინ ხარ, ვის მამა?—ჩვენც ვეკითხებით.
იგი კვლავ ბრძანებს მკაცრი სიტყვებით:
—თქვენი მამა ვარ, როგორ თუ ვინა!!
თვით ღმერთმა თქვენთვის წარმომავლინა!.
—ჩვენი მამა ხარ?! კარგი, იყავი..
მხოლოთ ერთს გკითხავთ: თუ შენი თავი
ღვთის მოვლენილათ შეგირაცხია,—
მერე ღვთიური გვითხარ რა გცხია?!!
თუ ღმერთი გრწამდეს მომვლენათ შენდა,
საქმეცა შენი გამოგაჩენდა!!!

ასეთი „მამა" გვყავს არა ერთი,
მათ, თითქო მართლა გზავნიდეს ღმერთი!.
ჩვენ-კი არ ვფიქრობთ ღმერთს ეს ებრძანოს:
ჩვენს გასაფცქვნელაათ გამოეგზავნოს.

უფრო გვაკვირვებს ჩვენ საქმე ერთი:
პირს აკერიათ სულ ღმერთი, ღმერთი ..
ღმერთი გრწამდესთო —ჩვენ გვარიგებენ...
თან ღვთის სამართალს მუდამ გვიქებენ...

ღმერთი ხომ არის სამართლიანი,
ყველაფრის შემძლე და მადლიანი ..
ის ხომ სამართალს გამოიჩენდა:
„მამებათ" მგლებს არ შემოგვიჩენდა!.
მაგრამ რას იზამთ, როს გახრწნილნი ზნით,
ღმერთს ახსენებენ მხოლოთ იმ მიზნით,—
იციან, რომ ის სწამს ხალხს ბეჩავსა,
ვერც მის წინაღმდეგ გააქნევს თავსა;
ღმერთის სახელი თუ გაუცხადე,
შემდეგ მისდექი, თუნდ ტყავი ჰხადე...
ძალათ მამებიც ამას ნატრობენ:
ღვთით დაშინებულთ ტყავებს აძრობენ...

აქ სჯობს დავფიქრდეთ, ვიკითხოთ ერთი:
რომ მართლა თვითონ მათ სწამდეთ ღმერთი,—
„ღვთისა სახელით" ხომ არ შეეძლოთ,
რომ ჩვენთვის ასე ტყავები ეძროთ?!
თორემ ეს რას ჰგავს, საიდან სადა!!
თვით ძარცვა-გლეჯის აღძვრიათ მადა,
გვართმევენ, რასაც მოახელებენ,
მიზეზათ-კი ღმერთს ასახელებენ.
თითქოს ძარცვაში ღმერთს ედოს ბრალი;
თითქოს ვინც კია სინდისთან მწყრალი,—
თვით ღვთისგან იყოს ნაწვრთენ-ნაგეში
და ხელს უწყობდეს სიმსუნაგეში.

რომ სწამებოდათ მათ მართლა ღმერთი,
ან თუ სამოთხე, ან ჯოჯოხეთი,
ვერ წამოჰკრავდენ ღმერთს ცუდათ ხელსა
და ვერც ჰკადრებდენ ღმერთის სახელსა
ასე ადვილათ მოცხებას ჭუჭყსა
თითქოს მიზეზი მათის სიწუწკის
თვით ღმერთი იყოს. . . .
. . . . . . . . . . . . . . . .

ფონ-ტეფო.



# წერილი ბ-ნ ეშმაკთან

ოზურგეთი, 7 ივნისი.

რათ დაგვივიწყე, ბ. ეშმაკო, რათ მოგვანატრე თქვენი ძვირფასი თავი? რა იქნებოდა გაგევლოთ ხოლმე ჩვენს კურთხეულ ოზურგეთში და თქვენი მათრახის სიმწვავე ზოგიერთ ვაჟბატონებისათვის გეგემებინათ. იქნება გგონიათ ზოგიერთა არა-მკითხე აპეკუნების წყალობით ამ, სამარეთ ქცეულ, ქალაქში თქვენი მადლიანი მათრახის ღირსი არავინ იყოს? რამდენიც გნებავს, ბ. ეშმაკო, რამდენიც გნებავს!

აი თუნდ გაგაცნობთ ქალაქის თავის თანაშემწეს, პლატონ ალიმასხანიჩს. კარგად მოიმარჯვეთ მათრახი, თორემ ისეთი ნახტომი იცის, რომ ადვილად აიცდენს. ამაზე უკეთესი ნახტომი განა შეიძლება: 1905—6 წლებში, ჯვარი აქა და, კარლ მარქსის სახელს ფიცულობდა, წითელ ფერს სულაც არ უფრთხოდა. დღეს კი... დღეს სულ სხვაგან გაურბის თვალი და ხშირად ფეხებიც. დღეს სულ სხვაგან ისმენს წირვა-ქადაგებას და ისმენს იქ, სადაც დღევანდელ პირობებში ეს „ჯერ არს". უთქვენოდ ჩვენი სიცოცხლე შეუძლებელია და თქვენს ნება-დაურთველად ერთ ნაბიჯსაც არ გავადგამო, ეუბნება მათ პლატონი. უთქვენოდ, ჩვენო მფარველო და მწყალობელო, ვარანცოვ-დაშკოვის სახელობაზე ახლად გაშენებულ ბაღში უვარგის მავნე ბალახ-ბულახსაც არ ამოვიღებ, ხელსაც არ გავანძრევ. დეე, თქვენდა სადიდებლად განადგურდეს ეს ბაღი, თქვენი დაუძინებელი მტრის მიერ გაშენებულიო!..

რომ იცოდეთ, რა თავ-გამოდებით, რა სიბეჯითით ემსახურება ამ ახალ მიდრეკილებას ჩვენი პლატონი, სწორედ მოგეწონებათ, ბ. ეშმაკო.

— რას უშვრებით, პლატონ, ამ ბაღს, რათ აფუჭებთ,—ეუბნება ზოგიერთი ქალაქის გულ-შემატკივარი,—ამდენი ფულია ჩაყრილი შიგ, გააწმენ-

დინეთ, თორემ ძირზე ამოყრილმა ნორჩმა აკაციებმა ლამის მთლად დაჰფარონ ბაღის მიდამო.

— არა, ვიკითხავ სადაც ჯერ არს, ისე გაწმენდას თავის თავზე ვერ ვიკისრებ. იქ ძალიან მოსწონთ აკაციები,—აძლევს პასუხს პლატონ ალმასხანიჩი.

ქალაქის თვითმართველობა პლატონს ,,ბაღნებისგან‘‘ გამოგონილ ზღაპრათ მიაჩნია წარმოიდგინეთ, ბ. ეშმაკო, ქალაქის შემოსავლიდან ერთი კაპეიკის გაცემასაც ვერ ბედავს ქალაქისავე აუცილებელ საჭიროებისთვის ისე, თუ ,,სადაც ჯერ არს‘‘ არ იკითხა და ამისი ნებართვა ა რ აიღო.

— მე იმის **დაუკითხავად** ერთს გროშსაც ვერ გავცემო,—იძახის იგი დაურიდებლათ და თანაც საქვეყნოთ.

თუ რისთვის შვრება ყველა ამას, რისთვის უძვრება „ძლიერთა ოზურგეთისათა‘‘ ფერხთა ქვეშე ბ-ნი პლატონი. მკითხველი ადვილათ მიხვდება, როცა მიიღებს მხედველობაში, რომ ყოველი, ქვემო საფეხურზე მდგომი ადამიანი ენერგიულათ ცდილობს მაღალ საფეხურზე აცოცებას. პლატონიც ხომ ადამიანია!

ზედა საფეხურზე აძრომა და მუნ დასკუპება თვინიერ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ერთობ ძნელი საქმეა

პლატონ ალმასხანიჩი სხვა მხრითაც ღირსია თქვენი ყურადღებისა ბ. ეშმაკო: აბა, ჰკითხეთ ერთი, რას აკეთებ თქო?

— როგორ თუ რას ვაკეთებ!—მოგახლის იგი იმ წამსვე.—რაც რამ სახეირო გაკეთებულა ქალაქში, ყველაფერი ჩემი მეოხებით. ჩემი გამოცდილებით ჭკუით და გამჭრიახობით გახლავს გაკეთებული! ვინ გააკეთა ბაზრის ქუჩა? პლატონ ალმასხანიჩმა. ვინ დადგა ბაზრის ქუჩაზე ,,მზე-ფარანი‘‘?—პლატონ ალმასხანიჩმა ვინ შემოიღო წეს რიგი უპრავაში?—პლატონ ალმასხანიჩმა (წეს-რიგს ალბათ იმას უძახის, რომ საკუთრად მითვისა ერთი ოთახი, რომლის კარებზე გააკრა განცხადება: ,,ქალაქის თავის კაბინეთი‘‘ და რომელშიაც, როგორც ,,ბლაკატი‘‘ სხვა და სხვა არზებს აცხობს. ავტ.) ვინ გახსნა ,,ამბულატორია‘‘ და მოიწვია ,,შესანიშნავი ექიმი‘‘?—ისევ და ისევ პლატონ ალმასხანიჩმა. და ყველა ეს მოვიმოქმედე იმიტომ, რომ მე მაქვს მიღებული იურიდიული განათლება (ის გახლავს კერძო ვექილი, ანუ მდაბიოდ ,,აბლაკატი‘‘. ავტ.), აღჭურვილი ვარ ცოდნით, ნიჭით, გამოცდილებით. მერე რა? რით აჯილდოვებს საზოგადოება ამ ჩემს ღვაწლსა? ოცი თუმნით წელიწადში მე ვმუშაობ, ოფლს ვღვრი*) ქალაქის საკეთილდღეოდ და სახელი კი სხვისია, იმ კაცის, რომელსაც ამ წელიწად ნახევარში არაფერი არ გაუკეთებია [illegible]დის მიდის საზოგადოების უსამართლობა' მარა კეთილისთვის კეთილი ვის უქნია?

როგორ მოგწონთ, ბ. ეშმაკო, ეს უტიფარი ტრაბახობა?

ახლა ისიც მოიხსენიეთ, რომ პლატონ ალმასხანიჩი საოცარის სიბეჯითით ასრულებს ტელეფონის როლს და თუ რასმეს ყური მოჰკრა, მსწრაფლ მივა იქ, სადაც ჯერ არს. *)

პლატონიდან ქალაქის მამებზე გადვიდეთ ერთი კაი, კაი ცხუნება მაგათაც მოუხდება. ქუჩები საძაგელ მდგომარეობაშია, განათების საქმეც ცუდათ არის დაყენებული, და რაც უფრო სამწუხაროა, დაწყებული, საფუძველ-ჩაყრილი საქმე ჩაიფუშა და იმის განახლებაზე არავინ ზრუნავს. მე მოგახსენებთ ქალაქის ბიბლიოთეკა სამკითხველოზე პლატონმა ყურები გაგვიჭედა ყვირილით, ყველაფერი მე გავაკეთე და აწიც გავაკეთებო, მარა ის ვერ მოუხერხებია სისრულეში მოეყვანა ხმოსნების გარდაწყვეტილება, წლიურათ **ას ოცი** მან. გადა… შესახებ ბიბლიოთეკის შესანახათ. ეს **მუდმივი** წ… რო უფრო საიმედოთ, უფრო საფუძვლიანად უ… რუნველ-ჰყოფს სიბლიოთეკის საქმეს, ვინემ სხვა და სხვა **შემთხვევითი** წყაროები. **ას ოცი** მანათი წელიწადში (თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უპრავის შენობაში სამკითხველოსთვის არის ადგილი და საჭირო ავეჯეულობაც ყველაფერი უკვე ნაყიდია) თითქმის ყველა ადგილობრივ ჟურნალ გაზეთების და რამდენისამე რუსულისაც შეძენა შეიძლება. საკვირველია, რათ არ იღებენ ქალაქის მამები ხმას. ამ ფრიად საყურადღებო საგანზე? ყველაფერი პლატონმა ხომ არ უნდა დაიწყოს და გააკეთოს? მოკვდა, მართლა. ეს კაცი ამდენი შრომით, მთლად დადნა და გაყვითლდა. „მამებსაც“ მართებს ტვინის **, და ხელის განძრევა!

დასასრულ, განმეორებით ვბედავ, მოგმართოთ უმორჩილესის თხოვნით, ბ. ეშმაკო, რათა ხშირ ხშირად გვესტუმროთ ხოლმე ჩვენს უპატრონოდ დარჩენილ ქალაქში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მრავალთ უმრავლეს სამათრახო მასალას იპოვით აქ.

ახლა ნახვამდის!

დავშთები თქვენი მათრახის ღრმად პატივისმცემელი **გოგიეი ვერმიცანიძე.**

---

*) პლატონმა, როგორც ცნობილმა გიგიენისტმა ალბათ ჩინებულათ იცის, რომ „ოფლის დაღვრა“ თვით მისი ორგანიზმისთვის არის სასარგებლო და მოქალაქეთა სასაყვედურო აქ არაფერია. ეშმაკი.

*) ცხადზე უცხადესია, რომ, ამგავი, რომელიც ადამიანის ყურს მოხვდება, გაივლის პატარა ხვრელში, და აღიბეჭდება იქ, სადაც ჯერ არს, ანუ ტვინში. ეშმაკი.

**) ჰაი, ჰაი გაანძრევდენ, რომ იყოს გასანძრევი. ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამღრთვო ნანა

(მძიმე გამოცანა)

I

იავ ნანა, ვარდო ნანა
იავ ნანინაო,
ეგრე ძლიერ რო ყოყოჩობ
ვინა ხარ, ვინაო?
სამსახურში მიგიგნია
შენ თფილი ბინაო,
ლაქუცობ და იგრიხები
პატარა ფინაო.
მოძმეს დასცემ, მოძმეს გასცემ
მიდიხარ წინაო,
უფროსების ფეხთა ლოკვა
არ მოგეწყინაო,
გაიხარე ხალხის მტლო
იავ ნანინაო.

მხრებს ჩინები გიმშვენებენ,
გულს ჯვარ-მედალიო,
შენ ხარ ხალხის კანონები
და სამართალიო,
ფხიზლათა ხარ, კარგა გიჭრის
ყური და თვალიო:
იცი სუკი სად მეტია
ჩამოსათალიო,
ვისაც ჯიბე არ უჭყივა,
ვაჰ მისი ბრალიო:
ავად წარწყმდეს, თუნდაც იყოს
ცამდე მართალიო.
ჩვენს სამშობლოს აბა ვინ ყავს
შენი ბადალიო,
შენ ხარ მისი კანონები
და სამართალიო.

კარგა ვხედავთ, ვირებს დარჩა
დღეს მოედანიო,
გაბერილხარ... ერთნაირი
გაქვს სიგრძე განიო...
შეჯდომიხარ „დაბალ ლობეს“,
გაართვა ჯანიო,
უფროსები წვრილს ამბობენ,
შენ გიჯობს ბანიო,
რომ ეჭვით არ მოიმდურო
ტრფობის საგანიო...
შენისთანა შვილს შესტრფიან
ქართვლის დედანიო,
დღეს შენ დაგრჩა, ქვეყნის ,,ბურჯო“
ბურთ-მოედანიო.

ეშმაკი.

## დეპეშები.

(მეთოხის სააგენტო)

**გურია.** სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, ვითომც ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ეკკლესიებზე ყარაულებით ჩამოეტარებიოთ. პირ იქით, ბოქაულ-სტრაჟნიკები პატივსაცემლათ დაჰყვებოდენ და ხალხის მორეკაზე შველოდენ.

**ლანჩხუთი.** გვესტუმრენ პარკები. გამოეგებენ მიკიტნები, მეარღნეები, მეწვრიმალენი და მეჯღანეები.

**იქიდანვე.** საწყალ სამკითხველოს დასიზმრებია ვითომც გაცოცხლებულიყოს.

**იქიდანვე.** მიქიაშვილის დროის პრიგავორის ძალით, ციხის სამსახურში ნამყოფნი პირები, ,,პავტარენიეში“ გაიწვიეს.

**იქიდანვე.** კარგახანია გვესტუმრა მისიონერი ნაკაშიძე. ამბობენ ამ დღეებში წაიკითხავს სამაგალითო ქადაგებას ამ თემაზე: 1) როგორ იშოვა კნიაზობა. 2) როგორ შეიძინა ფულები 3) სინდისი პრასაა და 4) ხალხის მოტყუება არ შეიძლება.

**ჩიბათი.** უმწყესურათ დარჩენილი სამკითხველო მგელმა შეკბინა.

**იქიდანვე.** სოფლის სასამართლო, ვაის გაეყარა, უის შეეყარა.



,,ან არლ·ნი, ან სიკვდილი“

—

მიჰქრის ეტლი სკოლისაკენ,
მიჰქრის, როგორც შევარდენი!
ქუჩას ატკბობს არღნის ჰანგი
იმ ეტლიდან მონადენი. (იხ. ,,ეშმ. მათ“.
№ 26, 1908 წ.)

შიგ ზის ერთი ახალგაზდა,
პედაგოგი ჯიხაიშის;
ძაგნიძეა იგი გვარად,
ვინ არ იცის, ვინ არ იცის!

„ამოს“.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. «შრომა» რუსის ქ. № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.



ამ სურათის ახსნა იხილე მე-14 გვერდზე.

**სურათების განმარტება.**

„შანტეკლერი'' თფილისის სახაზინო თეატრის სცენაზე. იხ. გვერდი მე 4.

„საქველმოქმედო" შემოწირულება. იხ. გვ. მე-13

პრუსიის პოლიცია ბერლინის მიტინგების დროს (გერმანულიდან) იხ. გვერდი მე-16.

---

# ლექცია

**(თქმული იასონ გაბილაიას მიერ შესახებ კოოპერაციისა დაბა აბაშაში.)**

ბატონებო, უკაცრავად, ქალბატონებო და ვაჟბატონებო! ჰმმ... ჰო ..ის. .ეეე... მოგახსენებთ ... მე დღეს უნდა წამეკითხა...ააა... ლექცია... ჰო, არა. . ვკითხულობ იმას... Много ხლაფორთი დამჭირდა... რა თქმა უნდა, რაზრეშენიეს აღებისათვის... ნება არ დამრთეს...არა ..ჰო...კი.. იმას დაირთეს კი ნება. სიხარულით დამრთო ნება გუბერნატორმა, უეზდნი...მაზრის უფროსმა.. ბოქაულმაც პრისტავმაც... სახალხო განათლების დირექტორმაც. მთავრობამ სტრაჟაიჩი პრედპისანიე მომცა ადგილობრივ მასწავლებლები ..ეეე...მმმ...იმსახურეო...არა... მოიხმარო... ხმარეო (თავს გააქნევს, ადგილს გამოიცვლის და ფეხებს დააბაკუნებს.) მაგრამ.. გმმ.. ასააა,..ეეე...ვერაფერი პედაგოგებია... Конечно, ფიზიკურად ვერ შევძელი ყველაფერი მზათ ყოფ-ლიყო ლექციისათვის. დიახ, ვაჟბატონ-ქალბატონებო! ბევრი ხლაფორთია საჭირო!.. ეხ... ეს პედაგოგებია თუ რაღაცები, ვერაფერი შვილებია. ჰმ...ის.. დიახ...ჰო. . აბა, ვიწყებ ლექციას...Хорошо слушайте господа! დღევანდელი დღე დიდად დიდი შესანიშნავია, რომელიც ბუმბერაზი ასოებით ჩაჭიკჭიკდება სამეგრელოს ისტორიაში... დღეს დიდი დღეა... უბრალო დღე არ გეგონოთ .. დღეს, 23 მაისს, იწყება ისტორია კოოპერატიულ მოძრაობისა სამეგრელოში. მერე ვინ არის ამის პრიჩინა? თავად მე გახლავარ!.. აი ახლა ვიწყებ ლექციას .. ჰო ..ის.. ჰმ... პედაგოგები რომ დამხმარებოდენ.. უფრო კარგათ იმას ვიზამდი... ეეე... წავიკითხავდი ლექციას. . მე იმდენი „ჩუტიო'' გამოვიჩინე რომ შევნიშნე, რომ სამეგრელოს კოოპერატიულ სული ემჩნევა...გაღვივებულა კოოპერატიული მიდრეკილება... ამიტომ განვიძრახე და კიდეც დავსწერე ეს ძვირფასი ლექცია. აი კიდეც ვიწყებ კითხვას ამ ლექციისა. უკაცრავად, ჯერ წავიკითხავ კანდელაკის ბროშიურას კოოპერაციაზე. (პუბლიკიდან ისმის ჩუმი მუსაიფი, მთქნარება, სიცილი, ზოგს ძილი მოკიდებია).

ეი, თქვენ, ვინ არის იქ ყურს არ მიგდებს, მიბრძანდი გარეთ. (ხმა: ბილეთის ფული დაგვიბრუნე და დიდის სიამოვნებით გეახლები). ჰმ... ის... ჯო... აი კიდეც ვიწყებ ლექციის კითხვას. (რამოდენიმე ფურცელს ხსენებულ ბროშიურისას ქსეროქსში კითხავს ძლიერ დაბნეულათ. შემდეგ მიმართავს კადეტს რომელმაც ბუნდოვანი სურათები უნდა უჩვენოს). Давай корту!—Какую карту?!! (ხმა პუბლიკიდან: ალბათ „ჩყრეზს'' გვათამაშებს კოოპერატიულ წესზე. (Ахъ чертъ подери! Давай туманную картину (ჩნდება სურათი, ლექტორი ჩამოდის კათედრიდან, ხელში საჩვენებელი ჯოხი უჭირავს). აი... აი... აი .. (აკვირდება სურათის ქვეშ წარწერას და ბევრს ხანს ვერ არჩევს ნაწერს). აი... დიდუბის... ჰმ... დიდების... ახ, უკაცრავად, დიდებული სურათი. ეს .. ეს... ეს... ეს... (თავს აქნევს, ადგილს ხშირად იცვლის, ჯოხს აკაკუნებს) რობერტოუენია .. აი...დააკვირდით... უბრალო სურათი არ გეგონოთ .. დააკვირდით თვალებზე, შეხედეთ რა საუცხოვო თვალებია... ეს ვინაა იცით, მის გვერდში? ეს მისი ბარიშნაა... თქვენ ფიქრობთ, იმას უცქერის ოუენი? სრულიადაც არა.. ის ახლა კოოპერატივია... ააა... ჰმმ... ის დაიბადა... (შეწყვეტს ლაპარაკს, ადის კათედრაზე და განაგრძობს ბროშიურის კითხვას რამოდენიმე წუთს) Давайте картину! (ჩნდება სურათი). ეს... художественный .. ეს. . ოოო . (ვერ ახერხებს ქართულად). Давайте дальше! (ჩდება შემდეგი სურათი). აქ არის გამოხატული კოოპერატივების ზრდა. აი შეხედეთ: 1902 წ. როგორ დაბალია. 1905 წ. უფრო გაზიდულა, 1907 წ. არიქა შეხედეთ ჰე, რა სიმაღლეზე წასულა, რა გრძელია (ამ დროს ჯოხს მაღლა აიშვერს და ახტება მაღლა, რომ მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს) აბა. . дальше картину! (ჩნდება) ეს.. ის. .არა . (პუბლიკიდან დაცინვით: дальше! Ну, дальше! (ჩნდება ახალი სურათი) ეს გახლავს .. (პუბლიკიდან: тоже дальше,. შემდეგ პუბლიკიდან სისტემატიურათ ისმის „дальще, дальше სანამ ლექტორი სურათის ჩვენებას არ გაათავებს) აი როგორც ხედავთ, ჩემო ძვირფასო ბატონებო, ასეთი კარგია კოოპერაცია. აბა! აქაური საკრედიტო ბანკი არ გეგონოთ .. ამ ბანკის გამგეს რომ ვკითხე, ასე მიპასუხა: არ ვიცი, საიდან მომდის თანხა, ვის ვაძლევ და რას ახმარს სესხს წამღებიო... (ერთი ბანკის გაგეობის წევრთაგანი ცდებით, ასეთი გამგე ჩვენ არა გვყავს; აბა დამისახელე მეორე წევრი:—როგორც ვხედავ, თქვენ მეორე სართულში ტუზი თავი საგანი ლექციისა დაგვიწყებია, ან არ გცოდნია, პუბლიკა აბუჩად აგიგდია და მოყოლიხართ აქ კინკლაობა-ჭორიკანობას, რომ ლექციას რითიმე თავი დააღწიოთ! თქვენსავით დაბნეული გამგე ჩვენ ბანკში არა გვყავს, რომ რას შვრება არ იცოდეს!) მე თქვენ გაზეთების საშუალებით მოგთხოვთ პასუხს. აბა ვნახოთ... ბატონებო, განვაგრძობ ლექციას... ოხ, ეს წყეული მასწავლებლები! მე იმიტომ კი არ მიმიცია იმათთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასო ბილეთები, რომ ჯიბეებში ხელები ჩადებული აქეთ-იქით იარონ. მთავრობის ბრძანებით ისინი უნდა დამხმარებოდენ. მაშინ მე ლექციას კარგად წავიკითხავდი (ერთი მასწავლებელი ლექტორო, ეს პროგრამაში არ არის, საგანს აცდით! მაზრის უფროსის თანაშემწე: საგანზე ილაპარაკეთ!) მე ლექციას ვათავებ, ფიზიკური დაღლილობა მეწვია, უღრმეს და გულწრფელ მადლობას ვუცხადებ ყველა პოლიციელებს, განსაკუთრებით მაზრის უფროსის თანაშემწეს, რომელმაც მიბრძანა მე: когда хотите, тогда начните лекцію читать. მადლობის ღირსია რკინის გზის მოსამსახურეები, ბოქაული... ოხ, პედაგოგები, პედაგოგები, ისინი... Они виноваты, что я не смогъ докончить лекцію. ბატონ-ქალბატონებო, ლექცია გათავდა. მადლობელი ვარ. (პუბლიკიდან: ჩვენც მადლობელი ვართ, რომ გადავრჩით თქვენგან წამებას! კაცო დაგძინებია! ადექი, ლექცია გათავდა, წავიდეთ! —მართლა? ვაი, ჩემო ოთხო აბაზო!.)

**პრივატ ეშმაკი.**

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულო რედაქტორო!

რადგანაც თქვენს გაზეთში დაბეჭდილს თელავიდან მოწერილს დეპეშებში აღნიშნულს პირებს ჩემზე აქვთ ეჭვი, მითომ მე გამომეგზავნოს თქვენთვის ეს ცნობები, და რადგანაც პირადათ მე ესენი ზიზღით მიყურებენ და ათასნაირ მტრობას მიწევენ, ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ უახლოესს ნომერში, რომ მე არა ვარ ამ ცნობების მომწერი*)

პატივისცემით მასწავლებელი:
**ონისიმე ივანეს ძე ჭიკაძე.**

*) რედაქცია ამოწმებს, რომ ონისიმე ჭიკაძეს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჩვენს გაზეთთან. რედ.



## მათრახის ფოსტა.

**მერვი.** დაჩხირს. თქვენი ლექსი: „გაზაფხულდა“ ახლა უკვე დაგვიანებულათ ჩაითვლება, რადგან ჩვენში ზაფხული დადგა.

**თფილისი.** გმირიშვილს. თქვენი გაზაფხულიც ნაადრევი გამოდგა უღღენაირათ.

„გაზაფხული კარს მოგვადგა,
მოგვაყენა კარგი დარი!
ნაწვიმ-ნაავდრის გამშრობი
იგი ზაფხული ეს არი...“

სჩანს, თქვენებურათ გაზაფხული ზაფხული ყოფილა; ჩვენებურათ კი ასეთი ლექსი არვარგა.

**ახალ-სენაკი.** ვასოს. მესტვირული არ დაიბეჭდება.

„ჰოი, დალახვროს გამჩენმა
ვინც მე დამიხშო გონება,
თორემ ბიჭადა მეც ვარგვარ
ჩემს სულს მიეცეს ცხონება“

სულით და გულით თანაუგრძნობთ თქვენს მწუხარებას.

**ჩაქვი.** მეთვალყურს. თქვენი სახელი?

**თფილისი.** გარსო მეფარნის-შვილს.

„შეჩერდი გულო! ნუ ღელავ!
ღელვით შორს ნუ გამიტაცებ.
და დაუნდობელ სოფლისა
ღრმა მორევში ნუ მიტაცებ.“

გულის შეჩერება არ არის სასიამოვნო, მაგრამ კალამს რო შეაჩერებდეთ, დიდი მადლობელი ვიქნებით.

**ხონი.** ამხ. ეშმაკს. სურათებიც მივიღეთ და წერილიც, მაგრამ ჯერ დრო არ არის.

**თფილისი.** მუზას.

„ეჰ, რა ბედზე დავიბადე
ნუ თუ ასე მეწერა,
ნუ თუ მე პატარაობიდანვე
წვალება დამეწერა?“

სჩანს ბევრი იწვალეთ ამ ლექსის დაწერაზე, რომ ისე ემდურით ბედს! ხომ-კი? აი ასე იცის მუზამ!

---


იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. პ. კანდელაკისა

# კოოპერაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შვიდი შაურის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის ადრესზე.



ამ სურათის ახსნა იხილე მე-14 გვერდზე